ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N19
29 ივლისი 2026 წ.

ქ. ნინოწმინდა

„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 მაისის №11 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„ნორმატიული აქტების შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-20 მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს,**

მუხლი 1

შევიდეს ცვლილება **„ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის ქალთა და ბავშვთა საკითხებზე მომუშავე მუნიციპალური საბჭოს შექმნისა და მისი დებულების დამტკიცების შესახებ" ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2025 წლის 29 მაისის №11 დადგენილებაში** (www.matsne.gov.ge, 30.05.2025, სარეგისტრაციო კოდი: 010250000.35.142.016357) და დადგენილებით დამტკიცებული დანართის:

მე-3 მუხლის პირველი პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,1. საბჭოს თავმჯდომარეობს ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ერთ-ერთი წევრი.".

მე-4 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

,,3. საბჭოს სხდომებს იწვევს, ხსნის, თავმჯდომარეობს და წარმართავს საბჭოს თავმჯდომარე. საბჭოს რიგითი სხდომა ტარდება წელიწადში მინიმუმ 2-ჯერ. საბჭოს რიგგარეშე სხდომა მოიწვევა საბჭოს თავმჯდომარის ან საბჭოს წევრთა 1/3-ის მოთხოვნით."

მუხლი 2

დადგენილება ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

ნინოწმინდის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე — ვაან აროიანი